

ტატატატატი


გამოცხადებულია კონკურსი პიესებზე
მუშ. კლუბებში დასადგმელათ.
გაზეთებიდან.



მწერალი—აი, ორი პიესა მოვიტანე... და რას მომცემთ?
 — დალოცვილი ეს პიესა კი არა მთელი სახარება!
 მწერალი—უკაცრავად! ჯერ ერთი—ჩემი პიესა ანტირელიგიოზურ შინაარსის გახლავთ, და მეორე—შეა
 მოკლეთ და ნორმალური ზომის იქნება!

სოც. დემოკრატიის „ვაჟკაცობა“

„კაუცუკიმ ვენის ამბების შესახებ განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატია არ დაბნეულა და არც გაქცეულა, ამ ამბების დროს.“



მართალია, არ გაქცეულან, მაგრამ რაც დაემართათ, მკითხველი დაინახავს სურათზე.

„იჭვი“, „იჭვი“, „ზანცა“

ტარტაროზიდან მივიღე ამა თქმისათვის ხანჭიცია, მივეც სიტყვა არ დაეინდო, ქალია თუ კაცია. რადგან, ჩვენი შემოიჭრა ევროპეიზაცია, ქართულ სიტყვებს წაემატა „იჭვი“, „ტიში“, „ზანცა“.

ქალქში, რომ მიდი-მოდის ლენა, მარო ფაცია, დახეთ ერთი გენაცვალეთ, რა მშვენიერად აცვიათ! ფეხებს, გულსა და მკელავეებზე, არის ზაჟესაცია, ეპ, რასა იქ ძმაო, ალბად, ქვეყანა თვალთმაქცია.

ცურთხეულ იყოს მარად საბჭოების ნაცია, ჩვენი გაძლიერების მოხდა სტაბილიზაცია, თორემ ვინძლო ჩაგველაპავდა ჩემბერლენიზაცია, ფბიზლად ვიყოთ, ხომ იცით ქვეყანა თვალთმაქცია.

ნამეტანი გახშირდა ცოლის სოციალიზაცია, ოფლსა ღვრიან გაჰყავთ გზები და კანალიზაცია. ნეტავ რათ არ მოქმედობს ქმრებთა კორპორაცია, ეპ რას იზამ ჩემო ძმაო... სულ ყველა თვალთმაქცია. კრულვა ვინც შემოიტანა ეს სიმულიაცია, შიგნივ შევა იკუნტება, გარეთ ხტის ვით ვაცია. რატომ თვალებს არ გაახელს ეს ექიმთა ფრაქცია, ვერ მოვსპობთ მათ? მგონი ვერა... ქვეყანა თვალთ-მაქცია.

ჩვენს ქუჩებში შემოიღეს სემაფორიზაცია, ვნახოთ, ვნახოთ რას მოგვეცემს ეს სიგნალიზაცია! უსარგებლოთ ტყვილა სცდება მილიციის კაცია. ეგრე წესს ჩვენ ვერ დავიცავთ,—ქვეყანა თვალთ-მაქცია. მ. კაცია.

ახალი ანდოზები

1. სადაც შეზვიდე.—იქაური ანკეტა შეავსებ.
2. ურემი რომ გადაბრუნდება.—გამსახლიც მაშინ გამოიხდება.
3. შორი გზიდან მოუარე.—სტრანკასაში მიდი და მშვიდობით გაიდე აგარაკზე ზიდი.
4. ავი შემნახავი.—კარგი გამფლანგველია.
5. ათჯერ ვაზომე.—გადაჭრის დროს არავინ გავისწოროს.
6. გადი-გამოდი გუთანო.—ფრთხილად სახალხო ფუღთანო.
7. გაჭირვებამ გამგის ცოლთანაც კი დამაწვინაო.
8. დაუპატიჟებელ სტუმარს—რევიზია ჰქვია.

9. გამსახლში შესვლა შენს ხელთ არის, გამოსვლა ამნისტიის.
10. დედაკაცის თმა გრძელია.—ალიმენტი კი ძნელია.
11. დედა ნახე, მამა ნახე—შვილის გვარი სასამართლოს ოქმში ნახე.
12. ვაიმე ძმაო თარხანო—კოოპერატივის ნოქრათ რათ ხარო.
13. გამგე ისეთ შიკრიკს არ ჩაყლაპავს—რომლის მონღლება ვერ შეეძლოს.
14. მოლარემ სთხარა, სთხარა—მუშგლენინის რევიზია გამოსთხარა.

სოციალ.

„ლირსაული“ თანამგროველი



— ყველაზე უფრო კარგი მასალები ჩვენს კედლის გაზეთში სიშონა ყლაპაძემ მოგვცა!
 — იმას რა მასალები უნდა მოეცა? თვითონ ლოთია! — ეგეთი რომა ჩვენც სულ იმაზე ვწერდით და ძახილაც ამიტომ ბევრი იყო.

მ ა კ ა ნ ს ი ა

მმარკიტრეტის საჯონჯოლო განყოფილებას მოღვაწეობა ემჩნეოდა. მოსალოდნელი იყო ერთგვარი „მასიური გადაწყვეთა სასამსახურო ხაზზე“, ისეთი ამბავი კი არც ისე ხშირად ხდებდა.

გიორგი მაკარიძე ერთი კვირაა, არ წასულა სამსახურში.

უკანასკნელ დღემდე ყველანი ფიქრობდნენ, რომ ამას, როგორც ყოველთვის, არავითარი შედეგი არ მოყვებოდა, მაგრამ უეცრად ვიღაცამ ხმა გააგდო, რომ გიორგი მაკარიძე მძიმე ავადმყოფობა და კონსილიუმიც კი მოუწვევებათო. საჯონჯოლო განყოფილება შეინძრა. ყველას მწუხარება გამოეხატა სახეზე.

— საწყალი გიორგი მაკარიძე... თუ რაიმე უბედურება მოხდა, ამას ვერ ვაღიარებთ მმარკიტრეტის საჯონჯოლო განყოფილება.

ვილას აზრად მოუვიდა, აქედანვე შედგომოდნენ გვირგვინისათვის ფულის შეგროვებას, მაგრამ რაღაც გამოსურვეველ მიხეზის გამო ეს არ განხორციელდებულა.

განსაკუთრებულ საგონებელში იყო ჩაეარდნილი გიორგი მაკარიძის თანაშემწე პროკოფი. ეზლა ის სრული პასუხისმგებელი იყო საქმეებისა და ყველა საჯონჯოლო ღებრაცეობა მის ხელში გადიოდა.

ეს არც ისე ადვილი საქმე იყო და ის განსხვავდება, რომელიც ერგებოდა პროკოფის დროებით უფროსის თანამდებობის შესრულების გამო, მაღაზრდაც არ ეცხოვრდა ლოდინისაგან დაიარაღებულ გულს.

მას შემდეგ, რაც რეგულირება დაიწყო პროკოფის სულ დაავიწყდა ღეთის არსებობა, ამაზე უკვე აღარც მოდა იყო და არც ღრთ.

ერთ დღეს, როდესაც ღრმად ჩაფიქრებულმა პროკოფიმ ეკლესიის წინ ჩაიარა, მოულოდნელად შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, შეიცადა ცოტა, სანამ გზათ მიმავალი უცნობი პიროვნება მოსახვევი მიიმალებოდა და ეკლესიაში შეძვრა.

დანთებული ორშაუროანი სანთელი და ბუცისის ხელზე გრძელი ამბორი თავდები იყო, რომ ღმერთი მოწყალებით მოიბრუნებდა გაბუტებულ სახეს პროკოფისაკენ. დაძინების წინ პროკოფის კიდეც გაახსენდა ღმერთი და ცხარე ლოცვით მიმართა მას:

— ღმერთო, თუ კიდეც ხარ მართლა სადმე... თუ კიდეც შეგონენია რაიმე ძილა... გამოიჩინე ბარემ შენი ძლიერება, რალს უყურებ—ათი წელიწადია არაფერი მითხოვია შენთვის... ვიცოდი, რომ არ გეცალა, არ მანდობდა ტყუილბრალოდ შემეწყუბინე, ისედაც შეწყუბულა

ბ რ უ ნ ა ვ ს !



— ხედავ როგორ ზრუნავს ქვეყანა?
— ჩვენც ავეყვით რაღა, მეთი რა დაგვრჩენია!

იყავი მტრებისაგან და მოყვარეებისაგან... მაგრამ დღეს კი მოგმართავ ერთი განცხადებით და ნუ დატოვებ მას უშედეგოდ... ნუ ამოდებ მულის ქვეშ...

როდესაც ლოგინში ჩაწვა, ერთი კიდეც ასძახა ქერს სასოებით:

— აბა, შენ იცი, ესლა ღმერთო... რა იქნება, რომ ერთს შენს მიერ გაჩენილს ადამიანს არ დააყენო საშველი და შენთან გაიწვიო უფადა შეგებულებაში...

დიდხანს არ ეძინებოდა კიდეც პროკოფის. მიიმე ფიქრები არ აძლევენ მოსვენებას, მაგრამ ფიქრებზე ნაკლებ არც ბალღინჯოები აწუნებდნენ.

იურიდიულ თვალსაზრისით ბალღინჯოები მართალი იყვენ. პროკოფი მხოლოდ ორი წლის სტუმარი იყო ამ ბინის, იმ დროს რდესაც ბალღინჯოები ჯერ კიდევ ადამ და ეგას მოყვენ სამოთხიდან და წარყვანის დროს ამ სახლს შეაფარეს თავი.

მიუხედავად ამისა, პროკოფიმ მინც სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა მათ თავის დროზე.

როგორც ყოველთვის, პირველი ბრძოლა მიმართული იყო ცალკე პირების წინააღმდეგ, რომლებმაც პირველ დღის ჩასახლებისთანავე დაატოვებინეს პროკოფის ტახტის მალღინჯოები და იატაკის ველზე ჩამოაგდეს. რამოდენიმე წუთის შემდეგ პროკოფი იძულებული გახდა ნებაყოფ-

ლობით დაეცალა იატაკიც და აიენისაკენ დაეხია.

შემდეგ ამისა ბრძოლამ ნამდვილი მასიური ხასიათი მიიღო. ბრძოლს ტენკასაც განვითარება დაეტყო და მაშაპაპური მეთოდები ჩხირმა და ნავთმა შესცვალა.

შემდეგ ჯგოი მიღა სხვადასხვა იაპონურ თუ ჩინურ ფხენილებზე, რომელთა მოქმედება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ შეგძლოთ ბლომად წაგეყარათ ეს ფხენილი ბალღინჯოსათვის და ბალღინჯო კი ყურსაც არ გაიპარტყუნებდა, ისე გაუღებოდა თავის გზას.

პროკოფიმ არ იცოდა, ვინ იცის შეიძლება იცოდა კიდევ, რომ ბალღინჯოების წინააღმდეგ არსებობს კიდევ ერთი რადიკალური საშუალება, რომლის შემდეგ არც ერთი ბალღინჯო არ გადარჩება ცოცხალი. ეს არის სახლისათვის ცეცხლის წაქიდება და გადაბუგვა... ყველაზე სწორი საშუალება! ის არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას და თანაც ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა ფენებისათვის.

მიუხედავად ამისა, პროკოფი მინც ოცნებებში იყო გადავარდნილი.

ხვალიდან იგი ყოველდღე იყიდის გაზეთს და გულდასმით გადათვალავს უკანასკნელ გვერდებს. სასიხარულო ამბავი სწორედ უკანასკნელ გვერდზე უნდა იყოს.

და აი, გასჭრა ორშაბათიანმა სანთელმა და უმანკო ლოცვამ.

გაზეთში უკვე არის სასიხარულო ამბავი შავ არზით შემოვლებული:

შემდეგ ყველაფერი ისე მიდის, როგორც ეს გათვალისწინებულია პროკოფის მიერ.

პროკოფი უკვე აღარ არის თანაშემწე, იგი ცალკე კაბინეტში ზის და კარებთან დარაჯი დგას.

საჯონჯოლო ოპერაციები დღითი-დღე იზრდებიან, მთელი საქართველო დაფარულია ჯონჯოლის პლანტაციებით...

განყოფილება ძლივს აკმაყოფილებს უცხოეთის მოთხოვნილებების 50 პროცენტს.

დაბოლოს მიღებულია პროკოფის უკანასკნელი ოცნებაც, მთელი ძმარკიტრტრესტი მის ხელშია - ჯონჯოლის განყოფილებუთურთ... და ყველა არა სასიამოვნო პირები დარეკილ-დაფერთხილია...

გათენებისას პროკოფიმ საავადმყოფოში მიაკითხა გიორგიმ მაკარიხს, მაგრამ იგი უკვე გამოწვერათ იქიდან.

— ალბად უკიდურეს მდგომარეობაშია და მორჩენის იმედი აღარ აქვთ, გაიფიქრა პროკოფიმ.

პროკოფი შეგვიანებით მივიდა სამსახურში, ესლა იგი თვით იყო უფროსი და ვერავინ გაუწევდა კონტროლს, პირიქით ვალდებული იყო სხვებისათვის ელევნებინა თვალყური, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქმის ასე შებრუნებას! გიორგი მაკარიხი უკვე თავის მაგიდას უჯდა და ყველა საჯონჯოლო ოპერაციები კვლავ მის ხელში იყო,

თქმა არ უნდა, პროკოფის განცხადება ღვთის წინაშე უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

— გიორგი მაკარიხ... მადლობა ღმერთს, რომ ისევ კარგათ გხედავთ... როგორ გრძნობთ თავს?

—ა არა უშავს... არც ისე ვარ, როგორც ეს მე მინდა, მაგრამ არც ისე ვარ, როგორც თქვენ გინდათ...

და ძმარკიტრტრესტის საჯონჯოლო განყოფილება ისევ ძველ მშვიდობიან ცხოვრებას შეუღდა...

სინემატო.

ნ უ ბ ა ს ს კ ო ლ ა

ზუსთაველის თეატრთან დაარსდა სადრამატურგოსტუდია რეჟისორ აბმეტელის ხელმძღვანელობით. სტუდიაში მყოფ მწერლებმა უნდა შესწავლონ დრამის წერის კრიტიკა.



ინს რომ ანი მიუმართო, გამოვივათ მაშინ—ია... თითომ უნდა დაგვიწროთ ათი დრამა-ტრედია...

საჯაგხულო დასკვნაგვ

— უნდა ვითხრათ მეგობრებო, რომ დასკვნება დიდი ხანია სჭირო იყო ჩემთვის. ყველა, ვინც ქუჩაში შემხედვებოდა, ერთსადა იმავეს მეუბნებოდა:

— ადამიანო, რა დაგემართა? როგორ ფარგასავით გამხდარხარ? სისხლისგან ხომ არ დაცლილხარ?

ერთმა ძველმა მეგობარმა, რომელიც მოსახვეში უეცრად შემეფეთა, დაფეთებულად შემომხვდა და გზა მიტია.

— სიმონი ხარ, თუ მოჩვენება?— მკითხა აგერ როდესაც.

— მოჩვენება რომ ცყოფილიყავი, დღით როგორ გავიარდი ამ ქუჩაზე!— ცოტა წყენით მიუჯე მე.—ჯაფამ დამდალა, ბევრს ვმუშაობ... აგერ მალე დასასკენებელ სახლში გამგზავნიან და მნახე შემდიო, როგორი ჩამოვალ! რამოდენიმე დღის შემდეგ დასასკენებელ სახლში გამგზავნეს.

სიცოცხლე გაქვს პირველ დღეს მე დავისვენე. გამზანეს, ამწონის, გააძღეს და დამაძინეს. ვიძინე რამდენიც მინდოდა. არც გუდოკის ხმას შეუწყუხებიავარ და არც ცოლის ყაყნს.

მეორე დღიდან კი რალაც აღარ მომეწონა დასასვენებელი სახლი.

ჭამე, ხეთქე, იძინე და ტყვილა იყავი რამდენიც გინდოდეს. მაგრამ გული საგულეს მიინც არ იყო.

მესამე დღეს გადავირიე კაცი! დავყილობ უსაქმოდ, ხან აქ მივეყუდე ხეს, ხან იქ წამოვიწევი ბალახში—ერთი სიტყვით ვირევი კაცი! მომკლა ტყვილად ყოფნამ.

გადავწყვიტე დავბრუნდე! უთხარი ეჭიმებს, მაგრამ არ მიშვებენ...

— ციხეში ხომ არა ვარ!—გავიფიქრე გუნებაში.—მეცინიერება და ტენიკა ჩემს განკარგულებაშია, ვიყიდი ბილეთს, ჩაგვადები მატარებელში და შემიკეთ შემდეგ!..

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ტყეში დასასკენებლად გამოგზავნილ მუშა-

მოსამსახურეების ერთ ჯგუფს წავაწყდი. ვხედავ—რგოლად დამხდარანხის ძირში და ოთუზბირს შეექცვიან. დამინახეს, მომიწვიეს. მეც ჩაუჯექი.

ისინი ააშენა ღმერთმა! ისე გაიარა დღემ, რომ არც შემიინშაეს... მხოლოდ საღამო ხანს ავდექით... მანამდე კარტს შევექცვილით.

ამის შემდეგ იქ ცხოვრებაც გამიადვილდა. დილას დავსხდებოდი თუ არა, დაღამებამდე ოთუზბირს შევექცვილით და ვიცარიელებდით ჯიბეებს.

კიდევ ააშენა ისინი ღმერთმა! ისე გავატარე მთელი თვე, რომ არ გამიგია...

მართალია, როცა დავბრუნდი, ცოლი ტირილით შემხვდა—მომაკვდავს დამგვანებინარო,—მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ... სიამოვნებით გავატარე დრო!

კარგია დასასკენებელი სახლი! ხომ—ღმბ.

„ქ ა ჰ ი უ ო ნ ი“

— ეა, ვგეტ რაზე? კაცი ზაგესის სტოლბასავით ახ-
მახი იყო, მხრებზე სახამორის ტოლა თავი გეხას და თა-
ვში იმტოლი ტკვა არა გქოდნს, რომ ქალი კაცისგან
ვერ გაარჩიო?

გებნები:— ძმაო, ბემურაზი ვიყო, თელეთი გამიწყ-
რეს თუ, რომ მე ქალი ვიყო, შამამხედ რაღა, მართა-
ლია ქალის კაპიშონი მაცვია, ჰამაც წვერ უღვაში არა
მაქვს, ჰამა წვერ-ულვაშს რა ჰკვა აქვს? შენ სხვა რამე
თქვი, დანარჩენი პრიმეტები ხომ კაცისა მაქვს მეთქი? ჰა-
მაც დურ-უჯის არტისტი კი არ გეგონოთო, წვერ-ულვაში
იმტომ არ მასხია, რომა ჭოსა ვარ, დახურულ ბაზარში
არ ჩაგვილია? ჭოსა იაკოფა არ გაგვიგონია? მე ვარ რაღა,
ძმობის მადლმა, ეხლა ნურადვერს მიზამ, გამიშვი და თუ
მერე ამ კაპიშონში კიდევ მნახო, მაშინ რაც გინდოდეს
ის მიუყი მქოქი!...

საქმეში ხარ? იმან უფრო ჰობობები აუშო, მთვრალი
იყო და ა. შიკობის პიშტაზე მოვიდა, გებნება:

— ტრატაჯან. ახარ, რო მატყუეფ, რას მატყუეფ? ისე-
თი ანინი ჭალი ხარ რამ კაცობასა სრემულოფ? ჰუ-
ხურში ეხლა არც დიდი რახნიცაა, ქალაქის ქალებიც
ყაცებივით დაკრეჭილები დადიან, ტროსტი, ვალუსტი-
ყა, რამე—ყველაფერი კაცისა აქეთო, ჰამა შენ შინც
სულ სხვა ნუგბარი რამე სჩანხარ მოდი, ამ კუსტებს იქით
შენი ნებით წაწაყე, ტყისკენ გავიგულავოთ, თორემ ჰაა,
ძალით წაგიყვან და კაბა გავიფუქდებო.

ბეგრი ვეხვეწე, ჰამა არა ქნა, ბოლოს გაქცევიც და-
ვაპირე და როცა ფეხი არ გადაედგი?—ერთი ისეთი
მტაცა რომა...

ე-ეხ, მოდი და რახან თქმაა, ბარემ თავიდან გეტყ-
ვით, რომ ყველაფერი იხსნათ გაიგოთ:

ჩემი ანინობის ამბავი არ იცით? მარტო სიარული
მიყვარს რაღა, ჰამაც მინდორში რო გავალ გზას გადაუხ-
ვევ, მიყვარს ნუგბარ ბალახებში სიარული, ხეების ქვეშ
გაჩერება, ჩიტებისა და ქრიჭინებისათვის ყურის დაგდე-
მა, მამწონს პირიოდის შნო და ლაზათი, ხეების ქვეშ
დასვენება, გვერდის ქარის ამოღება, ფიჭვებში წასვლა,
გართობა. მაგრამ წყალი თუ ვნახე?—მორჩა. იქიდან უბა-
ნებლათ არ წავალ; ჩავწევი და ლაზათ ჯიგარს გავიგრი-
ლებ, ვისამოგნეფ. ქალაქის სიცხეს დავივიწყეფ და მერე
იქვე, ბერგეთან ბალახებში მუტრუკით გავგორდები.
ჰოღა სწორეთ ამ ჩვეულებამ ჩამაგდო ისეთ ხათაში:

გავონილი გექნებათ, ჩემი ცოლი—სათენიკა დანათ
ოქროყანაშია წასული. მეც მუდამ შფავთ დღეს, დუქანს
გექტამ და მივდივარ ხოლმე. იქით არც ლილიენქები,
არც ფაიბონი არ დიდის, თუ მგზავრი გინდა, მემაწვენ
ყინტრებს უნდა დაუცალო. სხვას ვერაფის ნახამ.

მაგრამ მე რათ მინდა მგზავრი? გებნები, გამბედავი
ვინმე ვარ, არაფის პრავაყატი არა მჭირდება. აქაც მთელ
ზაფხულს მარტო დავდივარ.

შფავთ დღეს, იარმუკაში ჩავივლი, მუტრუკ გრი-
შუსაგნით ვივლი კარქ მოთალს, ნუგბარ კიტრებს, ძე-
გველოვისგნით ზეზისტნი ხიხილაღასა და დოშს წავი-
დფე, ჰამაც ხილი რამე და მივდივარ.

სათენიკაც თავის თაბაუთს იჭერს, მივალ თუ არა
მაშინვე შხათა მხედება: პიკნიკი აქვს რაღა გამართული
და ამ ორ დღეს კარგ ქეაფში და პურმაროში ვატარეფთ.

იქ ნაილიმამა მყავს—მეწურწე იაგორს იტყვიან,
ყარქი მამლხენი ბიჭია, მთელი იარმუკის ბაიათები ზეპი-
რათ იცის, ჰამაც მოსწრებული სიმღერის მოგონება იცის.
ამას წინათ ვარაო მასალო პესნა ჩემხედაცა თქო: ეახშ-
მის დროს, ბალკანზე ლათიანი ბაღდადური გვაჩალოფთ,
მეც პიშტაზე ნოველ და ქერივი შუშანა ვათამაშე, ჰამაც
თამაშობის დროს თვალი ჩაუყარი. იაგორამ დამინახა და
მღერის:

— ჭოსა იაკოფ,
ნუ ეშმაკოფ:
სათენიკას ეწყვი-ნეე-ბააა!..



მამი—ოჰ! იცოდეთ თქვენი გულისთვის...
ქალი—ბოლოს და ბოლოს სთქვით, რა გინდათ!
მამი—ის მინდა გენაცვალე, რომ მამა შენის სიძე
გავხდე!
ქალი—მერე მაგ ადვილია, შეირთეთ მამაჩემის
ჭერივი და.

ყველამ მე შამამხედა და ახში სათენიკამაც ყალ-მა-
ყალი ქნა, რენოსტობა დიჭყო.

ჰოო, იმას გებნები: ამ წინა შხათის კიდევ წავედი:
თან კარქი ზაკუსკა წავიღე—ნიზილაღა, დოში რამე. ჰა-
მაც სათენიკამ ჰაკარაკათ თავის ზაფხულის კაპიშონი—
მოდნი კაბა რაღა განიერ სახლებიანი დეკოლტიანი რა-
მეა—დამაბარა თუო, ნებრემენათ ამამიტანეო.

ერთ პატარა საკოიაჟში ჩუღე სათენიკას ეს კაბა და
ზაკუსკეული კი ქალღღში მაქვს შახვეული. მივდივარ...
ფუნეკულითორს არ აცვლი? უყურეფ ქალაქს და ჩემი ჯე-
ჰელობა მაგონდება: ორთაქალის უბანში გავზრდილვარ
რაღა, ლაზათიანი სიყმე გამიტარებია, რამტოლი ქვიფი,
ქიდაობა, ბაბამური დარტყმა, გოვოებში ჰინგლობა, მახ-
სონს! ჰამაც მტკვარში ბანაობა, თევზის დაჭერა რამე
მააშ!

აფსუს, ეხლა საფლავა ეს შნო და ლაზათი. ქარინო-
ლი დარდიმანდობა? მტკვარში? ეხლა რა შამიყვანს, ბო-
რანზე რო ვდგები მაშინაც კი ჰელეთ-მელეთი მემართე
ბა, ჰამა ისე პატარა წყალში, გუბეში კი ახოტნათ ვიბანა-
ეფეფ, ეხლა ზაფხულია, ცხელა, ჰამაც ძველი ჩვეულება
ძალას მატანს.

ვფიქროფ ასე, ვიგონეფ ძველ მართფათებს, ვფიქ-
როფ ათას ფლან და ფსტან რამეებზე და მივდივარ... გზი

შ ე ც ლ ა ა ?

ტფილისის ქუჩებში მოძრაობის მოსაწყისრიგებლად დადგმულია სემაფორები.



თუ ძმა ხარ ერთი კოხტა პესნა დაატრიალე, ხომზე ვარ!

დან გადაესულვარ, მწვანე ბალახებს გაეყევი, ხეებში შეველ და პუპუნ წყალი, პატარა რუჩეი ჩამოდის, ჰამაც აქეთ-იქით გუბებია, ალხინათ იბანავეფ, მიველ, ვენდამ წმინდა, კარქი რამეა, ცოვია, პრიატნი საბანათა.

მაშინტალნათ გაეხადე, ზაკუსკა ჩემს ტანისამოსში გავხვე და საკოიაჟე დავდე. შაველ ვბანაოფ. კარქი რამეა, ჰამა-ქვეშ ტალახია, წყალი იმღვრევა და შაჰუჰყიანებს. გავიარ-გამოვიარე და კოტა მოშორებით კარქი ხრიალებს, გეგონება დღუშის აბანათა. ჩაეწევი... ისე პრიატნი იყო, რომ დიდხანს თვალ დახუჭული ვწევარ, ვფიქროფ, ვსიამოვნოფ, გული ჯეჰელი მიხდება.

ერთოც ვნახოთ, ძაღლის ყუფა გავიგონე. გაეხველე, სტალბნაიკმა დამარტყა: გხედავ, ორი ბეზრევი ძაღლი მიათრევენ ჩემ ტანისამოსს. ზაკუსკის სუნი აუღიათ რა-ლა, ჰიშტანე მოსულან და გახსნა ვერ მოუხერხებიათ! ჰამაც ერთმანეთს აღარ აცლიან ერთი მიათრეფს—მეორე ეჩხუბება, უყეფს, წარომევა უნდა.

წამოვხტი, იმ საკოიაჟს ხელი დავავლე და გამოუდექი ძაღლებს. ახლო ვერ მიმიხედნია და შორიდან უჯავრდები:

— პოშოლ, დურაკ, ფარშივი, თუ ზაკუსკა მოგეწონათ, თოლ, წაიღეთ, მაგ ტანისამოსს სადლა მიათრეფთ? ქვებს ვესვრი, ვყვირი, გიჟივით ტიტლიკანა მივდეფ, ჰამა ბან ჩუნეს—არაფერი გამოდის, ერთი უკან მამიბრუნდა და ისეთი შამამილირინა, რომა გული გამისქდა და მოეკურცხლე.

წაიღეს რაღა, წაიღეს ისე ტიტლიკანა დაერჩი, გეგონება სამოთხიდან ჩამოვარდნილი ადამიაო. ჩემმა მზემ ძალიან დამენანა ჩემი თავი, სირცხვილი და ზრანცი სხვა იყო.

რაღას ვიზამდი? ისევე ხერხი ვამჯობინე და სათენიკას კაპიშონი ჩავიცვი. ჩემმა მზემ, მართლა ქალსა ვგვანდი აი გინ დიჯერე, გინდა ნუ. ქოსა არა ვარ? ხახე მოლოკილ ჯამს მიგავს და კაბა რომ ჩავიცვი პირდაპირ ქალი გამოველი!...

ავდექი და ამ კაბიანი ისევე ძაღლების მხარეს წაველ. ვიფიქრე, ის ბემურაზები ტანისამოსს ხომ არ შესჭამენ? ზაკუსკის გამოიღებენ და კასტუმს თავს დაანებებენ, უყარაულეფ და, როცა წავლენ მეც ჩავიცვამ მეთქი. პატარა ტყე იყო, იქით გადაველ.

უცბათ ვნახოთ, ვილაც ახმახი შოდის და მღერის:

— ახა-აა-ლი მო-დი-ი-ი-ს.

მაწო—ნი-ი-ი—მო-ო-დი-ი-ი-ს!..

თურმე შემეწენა და საქალაქოთ ხმას ისწორებს, გეგონება ოპერნი არტისტათ, რეპეტიციას აკეთებს.

გხედამ ჩემსკენ გადმოუხვია, გზაზე მუტრუკივით დადგა და მეხებდა:

— ოჰ, ტოტაჯან, ვერუნგუნ?—შენ ყიყვიან დარჩუას ქვრივი არა ხარ?

ვებნები—ძმაო, ქრისტიანული ვამარჯობა მითხარი, ძმა-კაკურათ დამელაპარაკე—რის ქვრივი,რის ტოტა, შენ ტვინის ლიტნი ხომ არა ვაქვს მეთქი?

გიჟივით იცინის, პრავა ტოტაჯან, აფერუმ შენს მოხერხებას, დიდი ნახოდჩივი დედაკაცი ჰყოფილხართ.— ჰამაც შენი ქმარი შეიდი კვირაა რაც მოკვდა, ასე მალე გამოიგლოვე, რომ ეს ჰრელი ზიზილ პიპილა კაბა ჩავიცვიაო? ძან გხდება აი, ნაინტერეს მაღინი რამე ხარო, —ვაჰ, ერთი ლოთიანათ თუ არ გაკოცე, ისე ვერ გავიშვეფო!..

— პოქალუსტა მაგისთანა ფინთ რამეებს თავი დაანებე, მართალია კაპიშონი მაცვია, ჰამაც პირტიტველი ვარ, ჰამა ამას თავი თაბუთი აქვს, მე ქოს აკოფა ვირო, აქ ვბანაობდი და ტანისამოსი ძაღლებმა მომტაცეს მეთქი...

იღრიქება.—ტოტაჯან, სიყმე-ძაღლი ვიყო თუ არ მომწონდე, მაგისთანა ზუმრობისათვისო, ჰამაც თუ ტანისამოსი ძაღლმა მოგტაცა, დაპუსტიმ—მეც მგელი ვარ და მე კიდე შენ მოგიტაცეფო, ამისთანა ფაშფაშა დედაკაციები მე ძაღლიან ქვეაში მომდისო.

შტაცა ხელი და შიშითრეფს. სანამ ტყის პირას არ მიმიყვანა, არ გაჩერდა. ჰი ვყვირი, ჰი ვეხვეწები, ვემუქრები, ვებნები თუ პრამეტები ნახე მეთქი—მაგრამ საქმეში ხარ?

მეორე ჩხუბი და ყალ-მაყალიც მოგვივიდა... მეორე გავექცულდი რაღა, დავიმალე მაშ რას ვიზამდი? მაგრამ მოდი იცი რას გეტყვი? ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, ყველაფერს ვერ ვიტყვი და ჰამაც ხომ იცით ფინთი ნერვნი ვინმე ვარ, და კიდე შეწყინება—რაღა, გავჯავრდები.

— ვაჰ, ასეთი მაზალო გინახიათ, რომ კაცმა ქალი და კაცი ვერ გააჩიოს? მაგრამ ეს სულ იმ ბემურაზ კაპიშონის ბრალია. ის რომ არ ჩამეცვა, ასეთი რამეც არ მოხდებოდა!

ფარხადან.



მამა — როგორ გაბედვ და ბიცოლას „გამოყეყე-ბული“ დაუძახე! მიდი ბოდიში მოიხადე!
ბავშვი — ბიცოლა! ბოდიშ ვიხდი, რომ გამოყეყე-ბული ხარ!

ც ა ლ ი ბ ა შ მ ა კ ი

— რა ღირს უსტა ეს ბაშმაკი?
 — ეჭვი მანეთი იღოს, მაგრამ შენი ხათრისთუნ იაფი მიგსეს!
 — მაინც?
 — ოთხი იღოს!
 — ცალი ბაშმაკი ოთხი მანეთი? ამდენი ფული მივცე და ცალ ფეხზე ჩავიცვა? იაფად მომეცი, რომ მეორეც შევიკეო.
 — შენ არ ვისი რა ბაშმაკი იღოს, მადლიანია, ღვდელმა გალიდოს, სოფლიდან მიიტანოს, თქოს თუ იმის სახლში ყაჩაღი მივიდეს, მერე გაიქსოს და ეს ბაშმაკი იქ დააგდოს მაშაა?!

ამ ლაბარაკს ყური მოვკარი იარმუკაზე, ვანქის გვერდით, სადაც ძველი, ჯღანებით, ხარა-ხურით და დაობებულ წიგნებით ვაჭრობენ. ამბავი მენიშნა და იქით მივტარილდი. უცბად ტანში ერთნეტელმა დამიარა, როგორც ლობეზე დაჭერილ ქლიავის ქურდს. ვიცანი; ბაშმაკი ჩე-

მი იყო. შეჩვენებულ ხუცესს, ამ ბაშმაკთან ერთად, მისი ოჯახის საიდუმლო ამბავიც ბაზარზე გამოეტანა.

სიტყვას რომ არ მოეტანა, ამ „საიდუმლოს“ განხაურობა არც ღირდა, მაგრამ—ვფიქრობ მისი „ტარტაროზში“ გამოქვეყნება სამსახურს გაუწევს ზოგიერთ თავზე ხელაღებულ სტუმარს, ვისაც „პურ-მარილის“ შემდეგ უძნელდება მღვდლისა და მღვდლის ცოლის ერთმანეთისაგან გარჩევა.

ეს ამბავი ნაადღგომეც მოხდა, თბილისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი სოფლის (არ დავასახელებ) მღვდლის ოჯახში:

მე, როგორც ყოფილ მსახიობს, ყოფილ ახალგაზრდას, ყოფილ „სასურველ სტუმარს“ ხშირად მივლია სოფლებში წარმოდგენების გასამართავად. ამ სოფელშიც მიღებულ და აღიარებულ მსახიობად ვიყავი მიჩნეულად და ადგილობრივ სცენის მოყვარებებში დიდი „მარიფათი“ მაქვს დატოვებული.

განსაკუთრებით კარგ განწყობილებაში ვიყავი იქაურ ფოფოდიასთან, რომელიც სცენის მოყვარებებში „პრემიერმად“ ითვლებოდა. მას მე ვამზადებში „ხელოვნების ტაძრის ქურუმად“ და ამ ნიადაგზე, მე და იმას „გულის ანგარიშებიც“ გავვიჩინდა.

რა თქმა უნდა ამის გამო მღვდლის ოჯახში—მულამ თავი სტუმარი და შინაური კაცი ვიყავი.

ეს ძველი ამბავია.

ექვსი წლის უნახავი მყავდა ფოფოდიაც და მღვდელიც. „ასტავკაში“ უმუნდროთ გასულ მსახიობს საქმე ძალიან გამიჭირდა და გადავწყვიტე სოფელში წასვლა.

„ეგები ერთი წარმოდგენა გავმართო, ძველი დამსახურება დამეხმარება, ფოფოდიასაც ენახავ, ძველ სიკეთეს გამიხსენებს“ ვფიქრობდი მე.

აღდგომის მეორე დღეს სოფელში გაჩნდი. მოვინახე ჩემი „გულის ქალბატონი“ (ფოფოდია) მტერს დამმართოს, რაც დღე დამართოდათ:

— „ბათუმკა“, ერთხანს გაიკრიკა და კოოპერატივში ადგილსა თხოულობდა, მაგრამ არ მისცეს. მერე კი, როცა ვაიგო, რომ გახიზნულ მენშევიკების მთავრობას იქ კენჭტრებერიის ეპისკოპოსები, ღვინოვები და ბერ-მონაზონები გაუტყვინა და იქიდან ლოცვა-კურთხევას გვიმოვლიან, წვერი და თმები ისევე გაიზარდა, ვინ იცის, ეგებ ყოიდე გამოადგეს! მითხრა ფოფოდიამ.

— ფოფოდია, ყმაწვილო, ამტანი გამოდგა, რაც უფრო მეტი გაქირვება ნახა, იმდენი განზე გაიღვა გვერდები—ნახე რა თუთლუპია—ხეი, ხეი, ხეი.. ჩაიხვივნება მღვდელმა და ფოფოდიას გვერდებში თითი წაჭკრა..

მე და ფოფოდიამ კი თვალებით „გავიკენწლავეთ“, ხოლო ერთ კუთხეში ჩურჩულის დროს მან მითხრა, რომ „გული ისევე ძველებურად ჩემთვის უძგერს“.

ბინა არ ჰქონდათ, (პატარა ქოხში ცხოვრობდენ) საცმელი არ ჰქონდათ, საქმელი არ გააჩნდათ... მაგრამ სააღდგომო საკურთხებიდან მორჩენილი ხორავით და მიკიტან საქუასავან ნისიათ მოტანილ ღვინით, მიანც კარგი დრო გავატარეთ.

ბინდისას კი ფოფოდიამ მითხრა:

— შენ დაბლა დაგიგებ, იფხიზლე.—როცა „ბათუმკა“ დაიძინებს გადმოვალ, ხომ იცი, ისეთი ძილი იცის, რომ ზარბაზანი ვერ გააღვიძებს!..

მე შევატყე, რომ „ბათუმკამ“ ჩვენ შეთქმულებას ყური მოჰკრა და ჩუმად თვალ-ყურის დევნება დაგვიწყო. (წინათაც ექვიანობდა ხოლმე).

დაწოლის შემდეგ, სულგანაბული უცდიდი „ბათუმკა“-ს ხერხინვას, მაგრამ გაუწყრა ღმერთი და ხენემის თავი არ დაანება...

ბოლოს ისევე მე ჩამძინებოდა. შუალამისას გამომაღვიძა ხერხინვის ხმა... დაუგდე ყური და „დავრწმუნდი“, რომ ეს ბათუმკაა. ფრთხილათ ავყავი ხელი, ფოფოდიას მოვკიდე ფეხზე და ჩემსკენ მოვწვი. ის წამოიჯდა.

— გადმოდი, „ბათუმკა“ ვერ გაიგებს.

ის შეყოყმანდა.

— გადმოდი შენ გენაცვალე, მაგ გამოჩერჩეტე-ბულს ხომ სძინავს მეთქი?

ნელა-ნელა ადგა, ფრთხილად ჩამოცოცდა და გვერდზე მომიწვა.

— აი ასე, მაგ ქოფაკს რას უწევები გვერდით, რა შეუძლიან მაგ ქეციან ტურას?—ვიჩურჩულე და ახლოს უწვი. ვაკოცე და... ჰოი საშინელებავ, „ბათუმკას“ წვერ-ულვაში თივასავით მომედო. (თურმე ფოფოდიას ხერხინვამ გამომაღვიძა?).

— ჰაი—შე არამზადა, მაწანწალავ შენა, ოჯახში იბარები, სკდები, ტყერები და მაგისთანა „რაზბონიკობასაც“ არ იშლი?—დამიღრიალა ხუცესმა და ყელში მწვდა:

— ადექი, ლამბა აანთე დედაკაცო, დავახრჩობ ამ სალახანას, ადექი მიშველე...

ფოფოდია წამოდგა, ლამბა აანთო და ისიც „ბათუმკას“ მიეშველა—ორივემ დამიწყეს ცემა... როგორც ხა-



აგსტრის კაპიტალის დარაჯი ზეიპელი

ფანგში მოწყვედიული წრეწუნა, ისე ვებეთქებოდი კუთხიდან-კუთხეს. ბოლოს, როგორც იყო, ხელი დავტაცე ჩემ ტანისამოსს და ფანჯარაში ვისკუპე.

— შე მშვირო გლახაკო შენა, ამ ბაშმაკის ფულით გადავიხდი შენთვის ჩასაცეცხლ ნისიას, ხვალეე ქალაქში ჩამოვალ, სულში გირივლებ... მე მეტი ველარაფერი გავარჩიე, რადგან სოფლის ძალები დამესიენ. სოფლის ბოლოში კი აღმოვაჩინე, რომ ჩემი ცალი ბაშმაკი იქ დარჩენილიყო.

იმას აქეთ კარგა ხანი გავიდა. მე ყველაფერი დამავწყვდებოდა, რომ წარსულ კვირას იარაშუქაში იმ „სტაროდლოვი“-ს ხმა არ გამეგო და ჩემი ბაშმაკი არ მენო.

— ხაზინ, ილიდოს, შენი ხათრისთენ—გოხათროს... მოურგივდი სამ მანეთად. ფული არ მქონდა და აი, გადავწყვიტე ამ ფელეტონის „ტარტაროზისთვის“ გავზავნა. თუ არ დამლუპავ ამხ. ტარტაროზო, ამით ორ ს. ს. მე გააკეთებ:

1) დამიბრუნებ ჩემ ცალ ბაშმაკს

და 2) საშუალებას მომცემ გავფართობილო ყველა „უმიდური“ სტუმრები, რომ მღვდლისა და ფოფოდიას ერთმანეთში არევა კაცს ხეირს არ დააყრის.

თარბი.

ვიკატიუბა

ტფილისის ტრამვაის ახალ ვაგონით მოგზაურობა I კაპიკით მეტი ღირს



— ფანდაბას ერთი კაპიკი, კურფერსკით მაინც გავისვირნებთ!

რამოდენიმე დღე ლანჩუთში

ლანჩუთს ლანჩუთელები ქალაქს ეძახიან, მაგრამ იგი ქალაქად არ არის ცნობილი. აკაკი ქერქაძეს დღესაც ახრჩობს მოგონება იმის, რომ ფაცურიაშვიტს ვერ შეხსლო ცარგათ მოტყუილება ამას წინა დღე ოზურგეთში ჩამოსულ ყოფილს, რომელსაც ვალად ედო ლანჩუთის ტერიტორიალური გამორკვევა და მისი ქალაქით დამტკიცება, თუ ამის ღირსად ცნობდნენ.

ქერქაძე ამტკიცებს: ლანჩუთში 8 ათასი მცხოვრებნი შეიძლება გახდეს, თუ მის საზღვრებს გავაფართოვებთო.

— ახლა დაჯექი და ქექე ნაცარი... ეხლა ჩვენ რაღა ვართ! ლანჩუთი რომ ქალაქად დამტკიცებულა, მაშინ ჩვენ ქალაქის სამსახურის კაცები ვიქნებოდით... აბა ახლა ვინ გავდებს ჩირაღ! — ამაზე სტირიან ქერქაძენი და დამბანი მისი.

ლანჩუთი ლამაზია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქუჩებში უნებართვით დისეირნობენ: ბატები, ღორები და სხვა შინაური ცხოველები. ყოველ შემთხვევაში ზოგი

ერთ აქაურ მოსეირნსათვის პირველათ სეირნობა ბევრათ უფრო მშვიდობიანია.

თუ გმირმა ლევარსი რობროზაძემ სამტრედია ახმტრედია უწოდა, ჩვენი აზრით დიდი ცოდვა არ იქნება, თუ ლანჩუთს ასევე ვიწოდებთ... ამას ამართლებს ყოველ საღამოს საღვურის წინ მოსეირნე უთვალავი გულ-ღია „მტრედები“. მანაე, გოგუცა, ნათელა, სარა, რი სიმე, ნადია, გალინა, თამარა და სხვები, რომელთა მთავარ მოვალეობას არშიყობა შეადგენს.

მე მინდა პატივცემულ მკითხველს ვრცლად გავაცნო ლანჩუთი, მაგრამ ამას დიდი წერილი დასჭირდება და სჯობია ეს უკანასკნელი დავამოკლო ფოტოგრაფ გოგის ცხვირით. ცისფერი საღამოა ქუჩაში ვსაუბრობთ მე და გიორგი ფაცურია — კაცი ფიქრებით გატენილი.

ტროსტი, საზაფხულო ცილინდრი და აღმასკომის თავმჯდომარე.

მე სულწასულივით ვეკითხები; ის დამშვიდებით პასუხობს:

— რადიო-მიმღების შეძენას არ ფიქრობთ?

— როგორ არა, ამის შესახებ თბილისში კაციც გვეყავდა გაზგავნილი; დიდძალიანი მიმღების შეძენა გვინდა, მაგრამ ეხლა მაინც ერთ ადგილზე გაშვება და მისი ყურება ძნელია სიციხეების გამო; ამიტომ ეს საკითხი ზამთრისათვის გადავდევით.

— საავადმყოფო გაქვთ?

— როგორ არა, საავადმყოფო კალანდაძის სახლშია მოთავსებული.

— აფთიაქი?

— აფთიაქიც გვაქვს. წინა დისკურავას დუქანში იყო და ახლა ორაგველიძის სახლშია მოთავსებული.

— მილიცია ხომ კარგათ მუშაობს?

— ისე... როგორც შესაძლოა... მილიცია ებრაელიძის სახლშია მოთავსებული.

— სასამართლო არის აქ?

— არის. ალექსევის სახლშია მოთავსებული.

— გლუხკომი გაქვთ, ან დახმარებას იძლევა ვინმე?

— ისე... რამდენათაც შესაძლოა... გლუხკომი ზუნუნაიშვილის სახლშია მოთავსებული.

უცერივ გაგშორდი ჩემს მოსაუბრეს. ცისფერი საღამო უცნაურ საღამოთ შეიცვალა. ნეტავ ლანჩხუთი სად არის, თუ ყველაფერი სხვათა სახლებშია მოთავსებული? — ევკოთხებოდი ჩემს თავს. აქ ვის არ მოწყინდება; არც ერთი საღამო, არც ერთი წარმოდგენა... არშეყოფი და მტერიან ქუჩებში სერიზობა (ბაღის გაშენება ლანჩხუთლებს უძველესი სურვილია) რა საქმეა!

ერთად ერთი სამკითხველოა აქ თვალ ჩენილი და ისიც გულ-გახეთქილ კაცივით გამოიყურება.. მის გვერდებზე— ლანჩხუთის „ავ-კარგი“ მკედარ კატასავით ჩამოკიდულია, რომელიც საარშეყოფა ლექსებით არის სავსე. სადგურში გამოფენილი...

.. მატარებელი დაიძრა.. შშვიდობით...

... იქ სადგურის სამოროგო ოთახში კოწია მენაღარიშვილმა (სად. უფროსის თანაშემწე) ვიღაცას „ტკბილათ“ შეუკურთხა...

იანო.

ტრაგედია ქაჯანაში

სცენა წარმოდგენს პარიზის ერთ-ერთი ტრაგედია. ფარდის ახდისას სცენაზე არიან დიდი ნოე, პატარა ნოე და დაყუდებული ემიგრანტები.

დიდი ნოე პატარა ნოეს ნარს ეთამაშება.

ბოლოს შემოდის სპირიტული კელია.

გამოსვლა პირველი

დ. ნოე. საკვირველია ღმერთმანი, დღეს ძალიან გაიმბრუნდა ხელი, სულ წაგებაში ვარ... „სე“ შე ოხერო კამათელო!..

ბ. ნოე. ეს პარტია თუ წავაგე თავი არ მინდა ცოცხალი.

დ. ნოე. არ წავაგო შე ოხერო კამათელო, თორემ რისი მაქნის ვიქნები ამ პარტიის წაგების შემდეგ, თუ თქვენ მომიგეთ უფლება საქართველოში დაბრუნების შემდეგ თქვენ იბატონოთ და არა მე! „სე“ მეთქი, კამათელო!..

ბ. ნოე. კამათელო, არ დაუჯერო დიდ ნოეს!

დ. ნოე. (გაავორებს).

ბ. ნოე. (გახარებული) „ფანჯი და ჩარი“ ნოეს!..

დ. ნოე. აი დასწყევლოს ღმერთმა! ეხლა რაღა დროს „ფანჯი და ჩარი“ იყო, შე ოხერო!.. (თამაშობს) სწორედ ნიშანია წაგების!..

ბ. ნოე. თუ ეს პარტია მოვიგე, შემდეგ გეთამაშები იმაზე, რომ კომუნისტების წამების უფლება შე შექნეს!..

დ. ნოე. ეგრე იყოს, გაავორე კამათელი!..

ბ. ნოე. ერთი „იაქე“, შენი ჭირიმე კამათელო, და მერე შე ვიცი შენი პატივისცემა!.. (გაავორებს). „ღორთ-ჩარი“! რა ეშმაკად მინდოდი შე ოხერო. დიდო ნოეჯან, მგონი ეს პარტია წავაგო!..

დ. ნოე. ერთი „დუ“ კამათელო და მერე შე ვიცი!.. (გაავორებს).

ბ. ნოე. (მიაცვირებს, რომლის დროსაც პარიზი შექპანდება) ვაი-მე, დავილუპე!.. (ამ დროს შემოდის კელია. პატარა ნოე ყურადღებას არ აქცევს და ისევ გატაცებით ეთამაშება დიდ ნოეს). „დუ“ რავე მოგვივიდა, აწი რა გიქირს!

კელია. რაო?.. „დურაქი“ თვითონ ხარ და კიდევ უარისი... ვის უბედავ მაგას!

ბ. ნოე. მე თქვენს შესახებ არ მითქვამს, მაგრამ თუ გინდათ იყავით... რავე, ვითომ რითი მჯობიხარ?!

კელია. გამიშვით, ბიჭებო! დიდ ნოეს მოხუცებულობისაგან და შიშისაგან სკანდალი ემართება. იმართება უმაგალითო ბრძოლა. შეშინ-ცივდებიან სხვა ემიგრანტებიც, ზოგნი კელიას მიეშველებიან და ზოგნი ნოეებს. ბოლოს ყველანი ერთმანეთს დახოცავენ.

აპოთეოზი

საიქოსი ღვთისმშობლის წინ დ. ნოე, მასთან ყველა დახოცილებიც. დ. ნოე მუხლებს მოიდრეკს და მიმართავს მარიამს. „დედაო ღვთისაო მარიამ, თქვენი ზვედრი საქართველოს განსათავისუფლებლად უსჯულო კომუნისტებისაგან ვიბრძოდით ჩვენ და გმირულად დავეცით ბრძოლის ველზე, ამისათვის გვედრები დაგვიმკვიდროსასუფეველი!“

მარიამ ერთხელ და სამუდამოთ უპასუხებს: „და იყოფებოდეთ აწი საფარველსა ჩემსა ქვეშა. ამინ.“

ტარტაროზის ნათლია.

ჩემი ნაკაზი

(ტოპანიერი)


ძოდი ვანხოთ ეპო
ა ჩტო ზნაჩიტ ეტო?
მაუზერი და ნაგანი
ნოქრებს აღარ ეყოთ?
დახლში ჩამდგარხარ ბიძია
და რვეოლვერი გკილია,
რატომ არ იცი, ეპოში,
ეს არაფერი რიგია!
აღმასკომს უთხრაოთ: ბაზარში
ხალხი რომ იხრჩვის ნაგავში,
უნდა ვახვეტოთ რადგანაც—
ასე სწერია ნაკაზში.
ტბები დააშრეთ ბაზარში—
კოლომ იშოვა ბინაო,
თორემ აფთიაქს არ ყოფნის
მალარიისთვის ბინაო.

ვოკონი.




„ჩიხვილი“

ეს გახლავთ „სერიოზა“ კონაშვილი, რომელიც ახლო ხანში აპირებს მხოლოდ მოკრივეთა შეჯიბრში მონაწილეობის მიღებას. ჯერ-ჯერობით რეპეტიციას ახდენს თელავში პატარა ბავშვებზე; შედეგი კარგი აქვს: ძმარს აღწენს ცხვირიდან თავის მოწინააღმდეგეს.



ასე გვატყობინებს თელავიდან „ძმარი“ (აღბად აქაც უფემებია სერიოზუს ძლიერება). თუ სერიოზუს ხელები არ დაიშოკლა, იკოლეს, რომ მისი გენერალური რეპეტიცია ასეთი იქნება ტარტაროზთან.



ღიალოგი

თქვენ გგონიათ, რომ ეს ღიალოგი რომელიმე პიესიდან არის? არა. მართალია: ერთგვარი სცენა აქაც არის. შერამ ეს სცენა ხდება არა თეტრში, არამედ სოფ. ქვიშნარის (გურია) შარაგზაზე.

(ზღაპარი არ გეგონათ; ასპროცენტრანი სიმატილა, თუ არ გვერათ, დაეკითხეთ გ. მელენარესს)

შარაგზაზე მიდიოდა ჩვენი სოფლის ერთი გლეხი. გზებზე ქვები ყველგან შერია, მოიტება მასზე ფეხი. შეორემ კი შუა ლაფში ჩავარდა და ჩაიძირა. „მიშველეთო, — ვიბრჩობიო“ მან ხმა მაღლა დაიყვირა.



პირველი: მე აქედან რა გიშველო, — მეც ღამეცა თავზე მენი; შენთან მოსვლა მე არ ძალმიძ, მოვითხე ცალი ფეხი. ამოტოპე ტალახიდან და მომეცი შველა რამე! მეორე: მე აქედან რა გიშველო, — გილუბები ვამე... ვამე..

თეზღმასკობის თავმჯდომარეს, რომ შეეძთხვევოდეს ასეთი ბედნიერება, — მოსალოდნელია, მან ყურები რომ გამოიფხიკოს (გამოიწმინდოს) და თვალები აიხილოს. თუ მაინცადამაინც საჭიროა, — ამის ასრულებაც ადვილია. ტარტაროზის ერთს დაცხინკებაზე. იქ ამოჰყოფს თავს (უფრო სწორედ, რომ ვისთქვათ — ფეხებს) აი, ასე:



„ამერიკელი ძია“

თუკცაღა უფრო სწორი იქნებოდა (გეოგრაფიულად) „ნაძილადეველი ძია“, მაგრამ როგორც მეგაზზე, მისთვის უფრო შესაფერისია „ამერიკელი ძია“. შესაძლებელია, ბევრმა უკვე მიხვდეთ, თუ ვისწვია აქ ლაპარაკი!.. დიას! სწორედ ის არის — სერგო ბახტაძე. აი ეს ჩერვონეცი მისია, ხოლო ჩერვონეცზე რომ მანეთია, იგი „პროცენტრ“ გახლავთ.



ასე ეუბნება სერგო თურმე მეზობელს და ამხანაგებს, რომლებიც ფულს შეეცესებთან:

— რა ვქნა, ძმაო,—მე კი არა, ამერიკა იღებს პროცენტებს, და მე რა კრელი გოჭი ვარ?

მგონი მეცამეტე (პრული) გოჭი უნდა იყოს და... მანდატის იმედი ნუ ექნება. (ცამეტი ყოველთვის ზედმეტი ბარგია და თანაც კვიმატია).

„წმინდათა ჩედაცია“

რომ ბევრი არ ვილაპარაკოთ, მოკლეთ შოუესშინოთ ღარდი-მანდს.


სოფ. ნაფარეულის სახლხო მამულის ადგილკოშის კედლის გაზეთის ფაქტიურ ხელმძღვანელად არის (ყო-



ფილი) მღვდელი. შო-და რას უნდა მოველოდეთ მისგან; ერთი ნომერი არ გამოსულა ხერიანის! აქ, სურათზე ნაჩვენებია კედლის გაზეთის რედაქციას თანამშრომლების მუშაობა.

ორ ალბას (ალბად სხვაგანაც)

ხაშური და ქუთაისი. ორი ქალაქი, ორი მუშათა კლუბი. მიდის კინო-სურათი. ბოროტ-მომქმედი შეიპარა ოთახში, სადაც სძინავს ბავშვს. იძრობს ხანჯალს და მძინარე ბავშვს გულში ჩასცემს... ხომ შემამრწუნებელი ს?



ნახაობა? თქვენ გგონათ ამ დროს პიანინოზე შესაფერის რამეს უკრავენ, პიოჩით, როცა ეკრანზე ეს სანახაობა დამკვრელი უკრავს ლეკურს. (ალბად მეტი არაფერი იცის) მოგესხენებათ: დამსწრე საზოგადოებაში ბევრია ღვინით შეზარხოშებული, როგორც კი ლეკურს გაიგონებენ, გაიმართება ცეკვა.


როცა გამოეკითხე პიანინოს დამკვრელს, თუ რატომ შვრება ასე, მან მომიგო:

— თქვენ ცდებით, ამხანაგო, როცა ფიქრობთ, რომ მე სხვა კიდევ არაფერი ვიცი. აი, ნახეთ!—და დაუქრა „ქრაკავიკა“, ბოლოს დაუმატა:

— როცა ეკრანზე საზარი სურათი მიდის, მაშინ თუ საშხიარულო რამე არ დაუქარი, ხალხი მოიწყენს და შეორეჯერ აღარ მოვა კინოში. (ჩვენ კი პიოჩით გვეგონა).

„წმინდა გიორგი“

ქუთაისელი „ქარხნის მუშა“ შემდეგს გვთხოვს: გთხოვთ მოათავსოთ სურათი. გიორგი პროტექციის მოყვარული კაცია და მას არ ეწყინება, თუ თქვენ ჩემს პროტექციას, მასზე ყურადღებას მიაქცევთ და მოათავსებთ მის კარიკატურას.



აი ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ ვართ პროტექციის მტერი და ამიტომაც ვათავსებთ გიორგი ხელაძის სურათს. ბოდიშს ვიხდით, რომ ზურგი უკან აქვს, უკაცრაკად, (ზურგი ყველას უკან აქვს) ზურგი თქვენსკენ აქვს შემოქცეული, მაგრამ მას მხოლოდ ასე წავეპარეთ სურათის გადასაღებათ.

თანაც თვითონ გიორგის მუშა-მოსამსახურესთან ლაპარაკის დროს, ასე ჯდომა (ზურგშექცეული) უფრო ეხერხება.

ეს ჩვენი გრიშა—„წმინდა“ გიორგი კვლავ პროტექციას იჩენს, ანახლებს. ობლებს და ქვრივებს ხსნის ადგილიდან. და მათ მაგიერ ღებულობს ახლებს...

სულ ძილი... ძილი...

ილია ქვეყაძეს, რომ ეს ლექსი ეხლა დაეწერა, ვფიქრობს ეგონებოდა, რომ მან ეს ლექსი დასწერა ნ. ანალოდის მუშათა კლუბის გამგეობაზე, რომელიც, როგორც ახალდაბელი გვატყობინებს: საღათის ძილს მიხცვშია.. და ისე მაგრად სძინავთ, რომ კლუბში მოთამაშე ბავშვების აურ-ზაური და ხმაურობაც კი ვერ აღვიძებს. ბოლოს ასე ათავებს ახალდაბელი—ხოლო როდემდის (ძინებენ)?

როდემდის და მანამ გამოაღვიძებდნენ, ე. ი. გამოსცვილი. თორემ გერაფერს უშველის თქვენი მოთქმა.

სულ ძილი, ძილი... როდის ეღირსოს მათ ვაღვიძება?

წერილი ახსენაგონს

— დავო მატრონია, პირველად გისურვებ შენს კარგად ყოფნას შენი კეთილის მსურველებით რომ კარგად მყოლოდეს შენი პატიოსანი თავი. ახლა დავო მოგიკითხა დედამ და მამიდამ, ახლა დავო მოგიკითხა კეკემ, ფეფომ, და ტერეზამ. ახლა მოგიკითხა დათომ, ბეტამ და ქაჩიამ. ახლა ჩემო მატრონია, შენ გენაცვალე, შენი ქირამე ერთი სათხოვარი საქმე მაქვს შენთან, ვიცი არ გამაწილებ და ამ საქმეს დაწვრილებით მაშიგებ.

მე და დედაჩემს მუდამ დღე ჩხუბი გვაქვს. ბეჩა ვერ იქნა და ვერ დაეჯერე, რომ ახლა მოდაში ცოლიანი კაცების ხელში ჩაგდებაა თუ. ტყვილად კი არ მეუბნება ჩვენი დათო, ველარ გვიგეთ, რომ ის დრო დიდხანს წავიდა, როცა ცოლიან კაცებისაკენ ცალი თვალით გახედვაც კი საშიში იყოვო?

ახლა პირიქით, უცოლო კაცებრსაკენ აღარავინ იხედება. ჩემო მატრონია შენ გენაცვალე, ქალაქში ნამყოფი ქალი ხარ, ხალხში ბახედული და შენ შეგიძლია გამოგო მართალს ვამბობ თუ არა. იქნება რამენაირად ეს გამოჩერჩეტებული დედაჩემი დაეჯერო, რომ გამაბნანოს ჩემს იუსტინეს.

ბეჩა ეგება შენც კარგად იცნობ, „კომწომოლისტია“, პარტიიდან გადმოგზავნილი ჩვენ სოფელში, თუმცა ცოლიც ქე ყავს და ხუთი შვილიც, მაგრამ ის არ ჯობია თუ კი „მოღნა“ ასეთია ქე წავყობი ბარემ, ჩვენი სონიესი არ იყოს, გუშინ წინ შემხვდა. მკითხა აქეთური, იქეთური, და როცა ჩემი და იუსტინეს ამბავი შეგვიხვდა, აღტაცებაში მოვიდა და შემომამხა „კაკაია პრელესტ“, ცოლიანი კაცის შეყვარება. პარტიული კაცია და მისი დიდკაცობა კმა-რა მარტო. თურმე უველა იმას იცნობს და „გილოინწყზე“ როცა მიდის, ნაცნობებმა ქულს უხდიან. ასე ჩემო მატრონია. მე ძალიან მომწონს ეს მოღნა. აბა ბეჩა რა გასაკვირია ახალგაზრდა და უცოლო კაცის გულის მოგება, საქმე ის

სომრი კასუხი



ბურჟუა—სიმაართლე ვითარა მოთმინება დამიკარგა ამ მუშათა დემონსტრაციებმა!
შენიკარი—უველაფერი რომ დაგეკარგებათ ის თქვით, მოთმინების დაკარგვას რას დაქვით!

არის ცოლშვილი მიატოვებო კაცს და შენსკენ გადმოიბირო.

ახლა მშვიდობით ჩემო მატრონია, ველი შენგან ყველაფერ ამბავს დაწვრილებით. და თუ მევესწარი ჩემს იუსტინესზე ჯვარის დაწერას, მაშინ სხვა უნდა ვიქო.

ახლა მშვიდობით, მოგიკითხავს შორიდან ხელის ჩამორთმევით, ტურზე კოცნით და ნახვის ნატურით. შენი დაი ფიფვლო.

„დაუსტინე“.

იმერეთიდან—იმერულათ

კაი გამარჯობა თქვენნი — ტარტაროზო და მისო ჭირისულებო!

არა, ფხა და უნარი წერის ქე გქონათ, თვარა ვერ გასადებოდით...

მარა, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, არ იყოს რომე, მატრონია გული მწყდება.—ნუყურ, იმერეთიდან მოწერილებს ვართო ცოტას ვუყურებ ტარტაროზში. თუ დიქრობთ, რო ტარტაროზის საკბილო და სანიკარტო ამბები არ ხდებოდეს აქეთ, ძან შემცდარხართ: მთელი იმერეთი იკლიკანტური და კულაბზიკური ამბების ბუდეა. მისთანა ამბებს, ტარტაროზს რო შეეფერება და თქვენც კელაში დაგიჯდებათ...

ამ საბუთით, თუ კი იქვენი ნებაც იქნება და ტარტაროზიც მიმისძლებს, გესტუმრები მოვალ...

მოვალოო!? ა! არ მომიკვდეს შენი თავი! რაცხა ერთობ მოხშირდა კისრისტება ამ ჩვენ რკინის გზაზე და, ორი ბარასკები დამოწენია, რაზე გევიძალლო სიცოცხლე! მოვალ-თქვა, რო მოგახსენე ჩემი უსტრები მოვა ჩემს მაგიერ.

ეგება, ბევრს ქე ემცხადოს და ემშაროს, ჩემს წილადო ბილას რო ჩაბუღებულეს, და ბუღებული კი არა, ყვევათი მერეჩენოს, მარა არაფერია. შობოდიშების რა მოგახსენო! დრო წვეიდა ამისი და არც მე მცალია საამისოთ და ტარტაროზიც იუკადრისებს ამფერ საბოდიშო, სალაქუცო ამბებს. შაგრაბაში არ უწერია ასე.

აქიდან გამითხილებია ყველა ფარსავათ დევებდლებნი და ვეპუტავ, რაც კი გასაბუტავი ფეხებში შემომებლანდება.

მრთალია, ისეც კიარა დასტურ, რომე აგე-

ბულობა შოულანძლო, ან დაუშავო. გარეგნულობასთან ქე რა საქმე მაქ, ჩემი გაკეთებული არაა, არც შრომა გამაწყვიდა და არც არა მისი შეპაინკება დოუვალებით ჩემთვის. არც მუხბაქე ვარ და არც კილო კახიანი, რომე ადამიანის გარავნულობაზე ვისლაფორთო. საკბილოს რა წავაწყდები, მე ჯიქურ მის სულს, გულსა და ზედასართულს დევებეგებო.

ეს სამი საგანი მექნება ნიშანში ამოღებული: სული, გული და ტვინი. თუმცა მეცნიერმა იე. გომართელმა ქე დასწერა ამგენზე დისერტაციაო, მონოგრაფიაო, თუ რაცხა ჯანაბას უძახიან.

მე კი სულ სხვაფერ... აბა, ვანოსთან ტყულა რო გევიჯგობო, რკინის გზაც არ მინდა, ისე მევიტებს კისერს!

მე სულ სხვაფერ: ავსულიანს იმდენს ვუბერავ სულს, რომ მეც გევიგუდები, მარა არც იმას დავაყენებ კაი დღეს. ავევლიანს დღეს,ხვალ მოვფხან გულს და გულს საგულეს ჩაუღვამ. ავტვინიანს იმდონს ვეჩიონები, რომ ან მოვაულუნებ და ან სულ გამოვატვინებ.

ა, ბატონო! ეს გასლავეთ თავიარი მუხლები ჩემი პაგრაბის, და თუ მიმიღებთ, თქვენთან ვიქნები, თვარა და ამ ორ კვალ მიწაში და ქოხში ვერ შემომედავებით, ქე ვიცი, და ვიქნები ჩემთვის.

მარა ეს კაი, რო ზოგიერთები, ვინც ნავარდობას ნაჩოვი არიენ, არ შეიშლიან ამ ნავარდობას, და კალმის წვერზე რო წამოვავებდი, ეგება, მართვათი წახდენოდით... ქე რა უყო! თქვენ მიინც მშვიდობით იყავით... და ათასათ გადავიქვით...

იმერელი.

ჯოჯოხეთის კუთხე



საწვამლი უფრი (ამაღლები თემი)

დაგვიღარიბდი გლეხკომო,
შემოგულია ფულია,
და მით მომიკალ გულია.
სანამ იყავ ვაჟკაცი
და გქონდა ძალა სრულია,
დიდი, პატარა შენ გთვლიდა—
შენ იყავ მათი სულია.
შენსა გამგეს და მსახურებს
ცავეშირი ჰქონდათ ძმურია,
არ შეგარჩინეს ზედაშე
ბრინჯი, შაქარი, პურია.
სულ-ყველა გოგო შენ შემოგოჩინდა
გარეულ-შინაურია,



ის საწყალ გლეხებს ყოველ დღეს
რომ დალაშქრებდა, მაშინვე
ყველანი იყრის იქ თავსა,
კარტს შლიან, ნარდს თამაშობენ
დავიან დაგზასიანსა.
ბავშვიც კი მიიჩივია
სათამაშებლად კარტისა
არც ეშინია მთაგრობის,
არც ერიდება მამისა.
ეხლა შენ, ჩემო ქაშანჩავ
გთხოვ ჩავიბრძინოთ ჭალაში
და იქ ვესტუმროდ აღმასკომ
სადილს ან ვახშმის ჭამაში.
თორემ ისე ვერ მოიცილდის
სოფლის საქმე აქვს ნაქარგი.
(მართლა არავის ეგონოს
თითქო ეს იყოს მართალი).

ბრიცი.

„გუშუბის ნაღირობა“

ბუხუტიმ გადინადირა
კლუბი ორ სართულიანი.
ვერ ნახა ღვინის ყლუპები,
ვერც ხულოვნი რქინი.
ნახტომსა შეველსა დარაჯს
ჰკრა წიხლი ბატინკიანი.
ჰკრა და ძირს გადმოაბრუნა
დააწყებინა ღრილი,
იძახის მუშქის მოღვრილ
იქადნის თვალ-ცეცხლიანი.
თუ კი ვარ კლუბის გამგისა
დამხმარე თანაშემწეო,
ღიახ უფლებაც ხელთა მაქვს
მეფე ვარ ყოვლის შემძლეო!



ორაკელი.

გიყვდებ. გიწანწკარებდენ.
ვით კილტულ წუწკი მურია.
ჰოდა, რა გქნის ხომ ხელა?
წონით ვერ მოხვალ ფუთია,
გამოგაცალეს სიმძიმე—
აწ შენი ყოფნა წუთია.
მაგრამ... რომ კვდებო, ძმობილო,
ობლები გრჩება წვრილია.
შეხედ გლეხებს, ღარიბებს
ეხლა კი იგონო სულ-ყველამ
სულ-ყველა შენი შვილია.
მოსთქვამენ (ა მღერს აფრქვევენი
მიწას ახალეს ქუდი.
რომ უშენობა ცუდია.

მესტიერელი

შენ ჩემო გულდავ, ხალხისთვი
აეაპინო სტერია,
თავზე მალამო მოუსვით
და მით ვიშორით ქირა.
ავიარ-ჩამოვიაროდ,
ამ ჩენი ნახი მღერიათ,
და შეუაროდ კორმალას,
ჩენი მხიარულ ღვინითა.
სალამი მივსკედ ჩვენ სერგოს,
მდღუქნეს, ძმას და პირის მზეს
კარტის თამაშით ატყვილებს

რა უყოთ თუ დარაჯია
უპატრონო და უმწეო
პანდურს ვერამ — ის რო ვარტყამ
და ხშირად ყურს რომ უწეო?
კაცად ვზრდი, ქოჯან ვასწავლი
მით მეგობრობას უწეო.
იძახის იქვე დარაჯი
ცრემლში იქ რჩება ნაცემი.
ნეტავ ვინ არის შემბრალები?
მთქმელი პასუხის გამცემი?

ქარა.

პ ა ს!

ეხ, მახლას!.. ან სახლს ვინ ჩიოდ.
და ან დუქანს, რომ ეს ჩემი გარეგულ-
ბული დედაკაცი, კუკლა მუშახა არ
დამეკარგა! მერე, რანაირათ ვინახავ-
დი იმ პირდაღლს იმას! პასლენდი ფე-
ხის გულუბსაც კი დუხითა და ლადიკა
ლონით უზეღავდი. მერე რა სული
ადლოდა იმ პირშავს იმას! პირდაპირ
ვიბნიდებოდი რაღა, რო ესუნავდი!
ჰო და, ამისთანა შენახული დედაკა-
ცი მე რალას დამიდგებოდა! ასწია და
ვილაყა დიდბორტმანის დაუჯდა ხა-
აღ!

მინც და კრუგომ ფული!!! საითაც
გავიარე ყველგან ფულსა მთხოვენი
რაღა! ეს ნალოგი რომ ნალოგია, ენტა
ნიჩეო, ფსტიაკ! შენ ეს პრაზნიკები
და კამპანიები ნახე რამდენია და! ეს
რეკიმი ეკამონის კამპანიაო, ეს ფასე-
ბის დაკლებსაო, ეს კრასნარმეის-
კიო, ეს კომცომოლსკიო, ეს ყენცკიო,
ეს ტუბერკულოზნიო... ვა, ვა ვა ვა!
ვაგონილო, ხალხნო, ამდენი კამპანიე-
ბი და პაუერტენია! გაიფიკა ჯიბეები,
ქრისტიანო, ფოლ ჩკა ვა!...

წამდაუწუმ მომადგებიან ეს ბარიშ-
ნები, მოამაკრავენ რალაცა ქალაღის
ნაქერს გრულდუნდ, თითქოს ერთი
მოსროვეცი აკდემია დამესრულებინ-
ოს! გამიყრიან ქინძისთავს და გინდა
თუ არა ფულიო! დღეს ქლექის დღე
არის და გინდა თუ არა პაუერტენია
უყვიო!

ვეებნები: ხალხნო, საიდან? სახლი
მე აღარა მაქვს, დუქანში თავგები
ნაურწყის თამაშობენ, დედაკაცი გა-
მეტქვა, ფული მე არა მაქვს და საიდან
მეთქი! თუ ქლექზე წავა საქმე, ჩემის-
თანა კრუგავიო ქლექი ვისა აქვს
მეთქი:

მაგრამ ბანჩუნეს! ვინ ჯიბედს
ყურს! მე ხმელი პურის ჭამითა ღრი-
ლები ავეტიქას კოჭლი ვირბნ ზურ-
ვივითა მაქვს ვადატყავებული და ამი-
სთანა დროს მომადგებიან კრუშკებით
ეს ძებვით გატენილი ბარიშები და
ვინდა თუ არა: „ჩაგლო!“ ვა, ხალხნო,
სამი დღეა არაფერი მიქმნია, ჯიბეში
თავგები ნაურწყის თამაშობენ და
მშიერმა კაცმა რა ჩაუგლო, მაგრამ
რომ შამოგცევინ ეს კურდატყები და
დაგნიყებენ კულის ქანაობას და გე-
ვეწებინ: „ჩემს კრუშკაში ჩაგდღე,
ჩემს კრუშკაში ჩაგდღე!“
მოდი ნუ ჩაუგდებ თუ ბიჭი ბარ და
ქული გხურავს!

გაა

იქ, სულაც ისვენებენ



ავადმყოფობის თვალყურის დევნება ჩვენს აზარაქმებში.